საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბარათაშვილი სულხან გერმანოზის ძე

ბარათაშვილი (ბარათოვი) სულხან გერმანოზის ძე [17 (29). IX. 1821, თბილისი, – 13 (25). VIII. 1866, სოხუმი], ისტორიკოსი.

დაიბადა ოფიცრის ოჯახში. სწავლობდა პეტერბ. კადეტთა კორპუსში. საფუძვლიანად შეისწავლა ევრ. ენები და ისტ. ლიტ-რა. 1840 დაუახლოვდა მ. ბროსეს. პეტერბურგიდან დაბრუნების (1841) შემდეგ გაზ. „კავკაზში“ გამოაქვეყნა წერილები საქართვ. ისტორიაზე. 1865–71 პეტერბურგში 5 წიგნად დაიბეჭდა მისი „საქართველოს ისტორია“ უძველესი დროიდან XIII ს-მდე. საქართვ. წარსული აქ განხილულია მსოფლიო ისტორიის ფონზე. ავტორი იზიარებდა თვალსაზრისს ისტ. პროცესზე გეოგრაფიული გარემოს განმსაზღვრელი გავლენის შესახებ. განიცდიდა ინგლ. ისტორიკოსის ჰ. ბოკლის შეხედულებების გავლენას. უმთავრეს ყურადღებას უთმობდა *პოლიტ.* მოვლენების გადმოცემას, მაგრამ არც ქვეყნის შინაგანი ისტორიის სხვა საკითხებს ტოვებდა უყურადღებოდ.

თხზ.: История Грузии, тетр. 1–5, СПб., 1865–71; Краткое обозрение главнейших причин падения Грузинского царства, «Кавказ», 1848, № 10.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., ისტორიკოსი სულხან ბარათაშვილი, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1971, № 4; Н а т а д з е Г., Сулхан Баратов как историк Грузии, Тфл., 1934.

შ. ხანთაძე